


ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის II კვარტლის ბიუჯეტის (იანვარ - ივნისის თვის)

შესრულების ანგარიში

ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2017 წლის 22 დეკემბერს N37 დადგენილებით 13202.0 ათასი ლარის ოდენობით. დამტკიცებულ ბიუჯეტში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები გრანტების ოდენობა განსაზღვრულია სულ 5647.3 ათასი ლარის ოდენობით, აქედან გათანაბრებითი ტრანსფერი 5415.3 ათასი ლარი და დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 232,0 ათასი ლარი. ადგილობრივი შემოსავლები განისაზღვრა 7531.1 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის 3080.0 ათასი ლარი გადასახადების სახით და 4451.1 ათასი ლარი სხვა შემოსავლების სახით.

არაფინანსური აქტივების კლებით შემოსავალი განისაზღვრა **23.6** ათასი ლარი.

შემოსავლები ხვედრითი წილის მიხედვით მთლიან ბიუჯეტში ასე გამოიყურება:



2018 წლის იანვარ - ივნისში ბიუჯეტის მიმართ 4-ჯერ განხორციელდა ცვლილება და ბიუჯეტის შემოსულობების მოცულობა განისაზღვრა 17382.4 ათასი ლარით. მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები ტრანსფერები 9827.7 ათასი ლარი. აქედან გათანაბრებითი ტრანსფერი 5415.3 ათასი ლარი. მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად **232.0** ათასი ლარი. „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 4180.4 ათ ლარი.

ადგილობრივი შემოსავლები განისაზღვრა **7531.1** ათასი ლარით, მათ შორის საგადასახადო შემოსავლები **3080.0** ათასი ლარი, არასაგადასახადო შემოსავლები **4451.1** ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების კლებით შემოსავალი განისაზღვრა **23.6** ათასი ლარით.

2018 წლის 01 იანვრისათვის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო სახსრების ფულადი ნაშთი შეადგენდა **4588.1** ათ. ლარს, მათ შორის ცენტრალური ბიუჯეტის თანხებზე **610.4** ათას ლარს, საკუთარ სახსრებზე **3977.7** ათას ლარს . მათ შორის:

	2018 წლის 01 იანვრის მდგომარეობით	თანხა (ლარებში)
1	სულ	4588119.52
	მათ შორის ცენტრალური ბიუჯეტიდან:	
	- რეგრესის პენსია საქ.პრეზიდ.26.12.07წ #771 განკარგულება	5591.17
	- მიწისძვრით დაზარალებულ დასახლებებზე 2012 წლის 26 .05 #972 განკ.	15400
	საქ.მთ.17.05.13#466 დადგ სოფლის პროგრამა	4531.58
	საქ.მთ.04.04.13#311განკ.რეგიონშიგანსახორც.პროექტები	67839.48
	საქ.მთავ. 20.03.2014წ #471 განკ. სოფლის პროგრამა	7359.36
	საქა.მთ.12.03.2015წ#506განკ.სოფ.მხარდაჭ.პროგრამა	17443.27

საქართველოს მთ. 2015 წლის 24 ნოემბრის #2529 განკ.სტიქია	8183.94
საქართ მთ. განკარგ #1967 2015 წლის 14 სექტემბრის (საიაღვრე არხ.)	34749
საქართ. მთ. 04.02.2016 წ #175განკ.	0.85
საქ.მთ.24.11.2017წ #2466 განკ.საპროექტ და სამშ. სამუშ.	48552
საქართ.მთ.19.02.2016წ #265 განკ.სოფლი პროგრამა	69817.5
საქ.მთ.13.06.2017წ.წ #1213 განკ.სატიქიის შედეგების სალიკვიდაც.ლონისძ. განსახორციელებლად	150000
საქ.მთ.12.07.2017წ#1454განკ.წყლის სისტემისრეაბილიტ.	180921
სულ ც/ბიუჯეტიდან	610389.15
სულ საკუთარი ნაშთი	3977730.37

ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის II კვარტლის (იანვარ-ივნისის თვის) ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ანალიზი


დასახელება	გეგმა	საკასო	პროცენტ ო
შემოსავლები	5625.3	7812.8	138.9
გადასახადები	1402.0	1269.3	90.5
გრანტები	2831.4	2823.6	99.7
სხვა შემოსავლები	1391.9	3719.9	267.3
არაფინანსური აქტივების კლება	23.6	9.7	41.1
სულ შემოსულობები	5648.9	7822.5	138.5
ფინანსური აქტივების ცვლილება (ნაშთი)	1243.5	-1775.8	
სულ შემოსულობები ფ/ა ცვლილების ჩათვლით	6892.4	6046.7	87.7

ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის მეორე კვარტლის (იანვარ-ივნისის თვის) შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები) საპროგნოზო მაჩვენებელი ნაშთის გამოყენების გარეშე განისაზღვრა **5648.9** ათასი ლარით, (ნაშთის გამოყენების ჩათვლით **6892.4** ათასი ლარით),საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 7822.5 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 5648.9 ათასი ლარის 138.5 %. გასული წლის შესაბამის

პერიოდთან შედარებით 1090.6 ათასი ლარით ნაკლები შემოსულობებია 6 თვეში ბიუჯეტში შემოსული.

საანგარიშო პერიოდში ხარჯების დასაფარავად ნაშთის გამოყენება გეგმით განისაზღვრა 1243.5 ათასი ლარით, ხოლო ფაქტიურად შემოსულობებმა ხარჯებს გადააჭარბა 1775.8 ათასი ლარით.

**სახეობების მიხედვით 2018 წლის II კვარტლის ფაქტიური შემოსულობების
ხვედრითი წილი მთლიან ბიუჯეტში**



შემოსავლები

ქიათურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის იანვარ-ივნისის თვის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლებიდან (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები):

I. გადასახადების სახით ბიუჯეტში მობილიზებულია 1269.3 ათასი ლარი, მეორე კვარტლის გეგმის 1402.0 ათასი ლარის 90.5 % და წლიური გეგმის 3080.0 ათასი ლარის 41.2% და როგორც დიაგრამიდან ჩანს მთლიანი ბიუჯეტის შემოსავლების 16%.

სახეობების მიხედვით:

ქონების გადასახადიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია იურიდიულ და ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი (გარდა მიწისა) 878.7 ათასი ლარი, გეგმის 835.0 ათასი ლარის, 105.2%. სასოფლო და არასასოფლო სამეურნეო

დანიშნულების მიწიდან ქონების გადასახადი, როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირებიდან, 26.0 ათასი ლარი, გეგმის 132.0 ათასი ლარის, 19.7 %. საშემოსავლო გადასახადი მეწარმე ფიზიკური პირებიდან 364.6 ათასი ლარი, გეგმის 435.0 ათასი ლარის 83.8 %.

II.გრანტები საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ბიუჯეტში მობილიზებული იქნა 2823.6 ათას ლარი, (გეგმური მაჩვენებლის, 2831.4 ათ.ლარის, 99.7 %). მთლიან შემოსულობებში გრანტებმა შეადგინა 36 %, მათ შორის: გათანაბრებითი ტრანსფერი ჩაირიცხა 2707.8 ათასი ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 115.8 ათასი ლარი.

III სხვა შემოსავლები 2018 წლის მეორე კვარტლის (იანვარ-ივნისის) გეგმით განსაზღვრული 1391.9 ათასი ლარის ნაცვლად ფაქტიურმა შესრულებამ 3719.9 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 267.3%-ია. 6 თვის მაჩვენებლების მიხედვით მთლიან შემოსავლებში ძირითადი ხვედრითი წილი სხვა შემოსავლებზე მოდის და 48%-ს შეადგენს. მათ შორის: პროცენტები დარიცხული საბიუჯეტო სახსრების ყოველდღიურ ნაშთზე მომსახურე საბანკო დაწესებულებაში, შემოსულია 169.2 ათ ლარი (გეგმა 40.0 ათ. ლარი), ბუნებრივი რესურსების მოსაკრებელი ჩაირიცხა ბიუჯეტში 2786.6 ათ. ლარი გეგმის (1295.7 ათასი ლარის) 215.1 %. მათ შორის წიაღით სარგებლობის მოსაკრებელი ჩაირიცხა 2763.5 ათ. ლარი, ტყის ფონდის მერქნული რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელი 3.8 ათ. ლარი, წყლის რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელი 13.9 ათ. ლარი, გადამფრენი ფრინველების ამოღებიდან 0.1 ათ. ლარი. სხვა არაკლასიფიცირებული ბუნებრივი რესურსების მოსაკრებელი 5.3 ათ. ლარი. შენობა-ნაგებობების იჯარა შემოსულია 10.4 ათ. ლარი, (გეგმა 8.5 ათასი ლარი), მიწის იჯარა 1.0 ათ. ლარი (გეგმა 0.3 ათასი ლარი). მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელი 4.0 ათ.ლარი, (გეგმა 2.0 ათ. ლარი), სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი 0.4 ათასი ლარი, სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი 512.0 ათასი ლარი, ამ ორი სახეობის მოსაკრებლის გეგმა იანვარ-ივნისის თვეში გათვალისწინებული არ ყოფილა, დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი 5.9 ათ. ლარი, გეგმის 10.4 ათასი ლარის 56.7 %. სანქციებიდან და ჯარიმებიდან შემოსავალმა შეადგინა 93.9 ათ. ლარი, (გეგმა 35.0 ათასი ლარი) შესრულებულია 268.3 %-ით. აქედან საგზაო მოძრაობისა და სატრანსპორტო მეურნეობის წესების დარღვევისთვის შემოსული ჯარიმა შეადგენს 63.5 ათას ლარს, სხვადასხვა

ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისთვის 30.4 ათას ლარს. სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავალი, ხელშეკრულებების დარღვევისთვის და წინა წლის დაბრუნებული თანხები, შემოსულია შესაბამისად 8.9 ათასი და 127.5 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების ცვლილებით (კლებით) იანვარ - ივნისის თვეში ბიუჯეტში შემოსულია 9.7 ათ. ლარი, გეგმით უნდა შემოსულიყო 23.6 ათასი ლარი, შესრულება შეადგენს 41.1%-ს. აქედან ძირითადი აქტივების გაყიდვიდან შემოსულია 4.0 ათასი ლარი, არაწარმოებული აქტივებიდან (მიწა) 5.7 ათასი ლარი.


ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის II კვარტლის (იანვარ-ივნისის თვის) ბიუჯეტის ასიგნებები

მუნიციპალიტეტის 2018 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის დაზუსტების შედეგად წლიური ბიუჯეტის გადასახდელები განისაზღვრა **20565.9** ათასი ლარით, II კვარტლის (იანვარ - ივნისის თვის) გეგმამ კი შეადგინა **6892.4** ათასი ლარი. გაწეულმა საკასო ხარჯვამ შეადგინა **6046.7** ათასი ლარი, ათვისებულია გეგმიური მაჩვენებლის **87.7** % და წლიური დაზუსტებული ბიუჯეტის 29.4%. მთლიანი გადასახდელებიდან **5155.8** ათას ლარს შეადგენს **მიმდინარე ხარჯები**, მათ შორის: შრომოს ანაზღაურებაზე გახარჯულია 1001.3 ათასი ლარი,საქონელი და მომსახურებაზე 340.6 ათასი ლარი,საშინაო ვალდებულებების პროცენტებზე 50.7 ათასი ლარი, სუბსიდიებზე 3109.7 ათასი ლარი, გრანტებზე 3.8 ათასი ლარი,სოციალურ უზრუნველყოფაზე 480.1 ათასი ლარი,სხვა ხარჯებზე 169.6 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების შექენაზე 6 თვეში გახარჯულია **890.9** ათასი ლარი.

ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის II კვარტლის ბიუჯეტის გადასახდელების ხვედრითი წილი ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით გამოსახული პროცენტულ მაჩვენებლებში მთლიან ბიუჯეტთან

Sales



ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის II კვარტლის ბიუჯეტის საგასავლო ნაწილის შესრულების ანალიზი

ჭიათურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებებიდან:

დასახელება	გეგმა	შესრულება	შესრულების %
საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	1472.4	1408.3	95.6
თავდაცვა	61.1	57.2	93.7
ეკონომიკური საქმიანობა	669.7	584.9	87.3
გარემოს დაცვა	748.4	684.9	91.5
საბინაო-კომუნალური მეურნეობა	284.9	208.7	73.2
ჯანმრთელობის დაცვა	92.7	87.7	94.7
დასვენება , კულტურა,რელიგია,სპორტი,	1553.3	1421.8	91.5
განათლება	1417.2	1061.1	74.9
სოციალური დაცვა	592.7	532.1	89.8
სულ ხარჯები	6892.4	6046.7	87.7

1. წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსებას მოხმარდა **6 თვეში 1408.3** ათასი ლარი, გეგმიური ხარჯების **1472.4** ათასი ლარის **95.6 %** მ.შ. მიმდინარე ხარჯებმა შეადგინა **1380.3** ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების შეძენას მოხმარდა **28.0** ათასი ლარი. წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ასიგნებებიდან საკრებულოს დასაფინანსებლად მიმართული იქნა **313.2** ათ. ლარი. დაფინანსდა 91.0%-ით. (გეგმა 344.3 ათასი ლარი), მუნიციპალიტეტის მერიის დასაფინანსებლად **1095.1** ათ. ლარი, დაფინანსდა 97.1 %-ით (გეგმა 1128.1 ათ.ლარი).
2. წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან გამოყოფილი იქნა იანვარ-ივნისის თვეში **28564** ლარი, რითაც დაზუსტდა ხარჯების შესაბამისი კლასიფიკაციის კოდები და მუხლები, კერძოდ ა) 4972 ლარი გაიცა მერის 12.01.1018 წლის N51 55 ბრძანების შესაბამისად მერია, საკრებულო, თავდაცვის ინტერნეტის, გაზეთში ინფორმაციის გამოქვეყნების ხარჯის, ტელევიზიის მომსახურების ხარჯისა და საფოსტო მომსახურების ხარჯების დასაფარავად. ბ) 2546 ლარი გაიცა მერის 12.01.2018წ. N51 52 ბრძანების შესაბამისად ახალგაზრდული პროგრამების

დაფინანსების ხარჯიდან ინტელექტუალური შემოქმედებითი ღონისძიებების დავალიანების დასაფარავად. დ) სასამართლოს გადაწყვეტილებით სტიქიური უბედურებებით მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად მერის 15.02.2018წ. N51 289 ბრძანების შესაბამისად გაიცა 3514 ლარი და 13.04.2018წ.N51634 ბრძანების შესაბამისად 3904 ლარი. ე)1146 ლარი გაიცა მერის 16.02.2018 წლის N51 294 ბრძანების შესაბამისად მერიის ტრანსპორტის ხარჯის დავალიანების დასაფარავად. ვ) 12482 ლარი გაიცა მერის 25.01.2018წ. N51 116 ბრძანების შესაბამისად გზების სარეაბილიტაციო ხარჯების დავალიანების დასაფარავად.

3. მერის სარეზერვო ფონდიდან 2018 წლის II კვარტალში (იანვარ-ივნისის თვეში) გამოყოფილი იქნა 151557 ლარი, რითაც დაზუსტდა ხარჯების შესაბამისი კლასიფიკაციის კოდები და მუხლები, მათ შორის: ა) მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 10 იანვრის N51 39 ბრძანების შესაბამისად ჭიათურა- სოფ. ხრეთში სტიქიით დაზიანებული გზის აღსადგენად გამოყოფილი იქნა 7500 ლარი. ბ) მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 2 თებერვლის N 51 223 ბრძანების შესაბამისად ჭიათურაში აღმაშენებლის ქ.N27-სა და N29 შორის და ინტერნაციონალის ქუჩაზე საყრდენი კედლის აღდგენისათვის 12366 ლარი, ჭიათურის N6 საბავშვო ბაღის სახურავის რეაბილიტაციისათვის 4710 ლარი. გ) მერის 2018 წლის 25 იანვრის N51 112 ბრძანებით გამოყოფილი იქნა 23000 ლარი სტიქიის შედეგად დაზიანებული საყრდენი კედლის აღდგენისათვის ინტერნაციონალის ქN25-სა და აღმაშენებლის ქN27-ში, ასევე N6 საბავშვო ბაღის სახურავის აღდგენისათვის 2000 ლარი. დ) მერის 2018წლის 14 თებერვლის N51 279 ბრძანებით გამოყოფილი იქნა 44022 ლარი აბაშიძის ქN16-ში ხანძრის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლის სახურავის აღსადგენად. ე) მერის 2018 წლის 12 მარტის N51 427 ბრძანებით გამოყოფილი იქნა 33018 ლარი ცხოვრებადის ქ.N46-ში,9 აპრილის ქუჩასა და ბარათაშვილის ქ.N18- ში სტიქიის შედეგად დაზიანებული სანიაღვრე არხების აღსადგენად, 24941 ლარი სტიქიის შედეგად დაზიანებული საყრდენი კედლების აღსადგენად ცხოვრებადის ქ.N32-სა და გიორგაძის ქ.N31 ში.

4 თავდაცვას, საზოგადოებრივი წესრიგსა და უსაფრთხოების დაფინანსებას მოხმარდა 57.2 ათასი ლარი, რომელიც მთლიანად სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის დაფინანსებაზე იქნა მიმართული. დაფინანსდა 93.6%-ით (გეგმა 61.1 ათ. ლარი).

5. მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციაზე გამოყოფილი ასიგნებების საკასო შესრულება 2018 წლის იანვარ - ივნისის თვეში შეადგენს **1478.4** ათას ლარს, დაფინანსდა **86.8** %-ით (გეგმა **1703.0** ათასი ლარი) მათ შორის: ა). საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა შენახვაზე გაიხარჯა **411.9** ათასი ლარი (გეგმა 457.4ათ. ლარი), საიდანაც გზების რეაბილიტაციას მოხმარდა 317.5 ათასი ლარი საბაგირო გზების სუბსიდირებას 94.4 ათასი ლარი. ბ). კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლუატაციას მოხმარდა **981.1** ათასი ლარი, დაფინანსდა **79.2** %-ით (გეგმა **1124.5** ათასი ლარი), აქედან წყალმომარაგების სისტემის აღდგენაზე გაიხარჯა 21.9 ათ.ლარი (გეგმა 22.1ათ.ლარი), სანიაღვრე არხების რეაბილიტაციაზე 29.9 ათ.ლარი (გეგმა 33.0 ათ. ლარი), კეთილმოწყობისა და დასუფთავების სერვის ცენტრის ანგარიშზე ქალაქის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის ღონისძიებების გასახორციელებლად გადარიცხული იქნა 654.9 ათასი ლარი (გეგმა 715.4 ათ. ლარი), საყრდენი კედლის მოწყობაზე გაიხარჯა 106.5 ათასი ლარი (გეგმა 110.1ათ.ლარი), მუნიციპალიტეტის ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამაზე გაიხარჯა 88.3 ათასი ლარი, რომელიც მოხმარდა საცხოვრებელი სახლების ლიფტების აღდგენას (გეგმა 149.3 ათ. ლარი), გარე განათების აღდგენა-მოვლა პატრონობაზე გაიხარჯა 79.6 ათ.ლარი (გეგმა 79.6 ათ. ლარი). ქვათაცვენის სამუშაოებზე 6 თვეში გამოყოფილი 15.0 ათასი ლარი არ არის ათვისებული გ) მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებებზე გაიხარჯა 18.9 ათ.ლარი, რომელიც მიმართული იქნა მწვანე ნარგავების განაშენიანებასა და სკვერების მოვლა პატრონობაზე (გეგმა 18.9 ათ. ლარი). დ). სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განხორციელებული პროექტების დასაფინანსებლად გახარჯული იქნა 6 თვეში **66.6** ათასი ლარი დაფინანსდა 65.2 %-ით (გეგმა 102.2 ათ. ლარი).
6. განათლების ღონისძიებებზე 6 თვეში გაიხარჯა **1061.1** ათასი ლარი, რომელიც მთლიანად მიმართული იქნა სკოლამდელი დაწესებულებების (გაერთიანებული საბავშვო ბაღი) დაფინანსებაზე, დაფინანსდა 74.9 %-ით (გეგმა **1417.2** ათ. ლარი), აქედან 1055.2 ათასი ლარი გაცემულია სუბსიდირების სახით, 5.9 ათ. ლარი საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე.
7. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები 2018 წლის

6 თვეში დაფინანსდა 91.5 %-ით გეგმით უნდა დახარჯულიყო 1553.3 ათასი ლარი, ფაქტიურად დაიხარჯა 1421.8 ათასი ლარი საიდანაც: ა) სპორტის განვითარების ხელშეწყობას მოხმარდა **585.6** ათასი ლარი, დაფინანსდა 87.5 %-ით, გეგმა 669.4 ათ. ლარი. აქედან რაგბის სპორტული სკოლა დაფინანსდა 141.1 ათასი ლარით დაფინანსდა 81.2%-ით(გეგმა 173.7 ათ. ლარი) , N27 სპორტული სკოლა 261.8 ათასი ლარით,დაფინანსდა 86.4%-ით (გეგმა 303.1 ათ. ლარი), ბავშვთა და მოზარდთა საფეხბურთო სპორტული სკოლა 107.3 ათასი ლარით დაფინანსდა 98.3%-ით (გეგმა 109.2 ათ. ლარი). სპორტული ობიექტების რეაბილიტაციას მოხმარდა 75.5 ათასი ლარი (გეგმა 83.3 ათასი ლარი). ბ) კულტურის განვითარებას მოხმარდა **776.5** ათ. ლარი. დაფინანსდა 94.9 %-ით, გეგმა 818.3 ათ. ლარი. აქედან N1 სამუსიკო სკოლა დაფინანსდა 111.5 ათასი ლარით (გეგმა 115.5 ათასი ლარი), N2 სამუსიკო სკოლა 75.4 ათასი ლარით (გეგმა 80.3 ათ. ლარი), სახვითი ხელოვნების სკოლა 26.5 ათასი ლარით (გეგმა 28.4 ათ.ლარი), ცენტრალური ბიბლიოთეკა 108.2 ათასი ლარით გეგმა 116.4 ათ.ლარი), კულტურის შემოქმედებითი ცენტრი 401.2 ათასი ლარით (გეგმა 407.0 ათ. ლარი), თეატრი 3.0 ათასი ლარით (გეგმა 20.0 ათ. ლარი), კულტურის ობიექტების რეაბილიტაცია 50.7 ათასი ლარით, გეგმა 50.7 ათ.ლარი (მოეწყო კულტურის ცენტრის ეზოში მოაჯირი, შეკეთდა N2 სამუსიკო სკოლა). გ) კულტურული ღონისძიებების დასაფინანსებლად („ბასტი-ბუბუს“ კონცერტისა და სოფლად ფილმების ჩვენებისათვის) გაიხარჯა 4.2 ათასი ლარი (გეგმა 4.2 ათ. ლარი), დ). ახალგაზრდული პროგრამების დასაფინანსებლად მიმართული იქნა **35.6** ათასი ლარი. დაფინანსდა 86.0%-ით (გეგმა 41.4 ათ. ლარი). პროგრამის ფარგლებში განხორციელებული იქნა წარმატებული მოსწავლეების, სპორტსმენების პედაგოგების ჯილდოების გაცემა, სხვადასხვა ინტელექტუალურ-შემოქმედებითი ღონისძიებების ხარჯების დაფინანსება. ე). რელიგიის ღონისძიებებზე გამოყოფილი 20.0 ათასი ლარი მთლიანად იქნა ათვისებული.

8. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასა და სოციალურ უზრუნველყოფაზე გახარჯული იქნა 2018 წლის მეორე კვარტალში **619.8** ათასი ლარი, დაფინანსდა 90.5 %-ით. (გეგმა **685.2** ათასი ლარი), აქედან:

ა) საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებებს მოხმარდა **52.7** ათ. ლარი. დაფინანსდა 91.7 % (გეგმა **57,5** ათ.ლარი).

ჯანმრთელობის დაცვის მხარდამჭერ პროგრამას 35.0 ათასი ლარი დაფინანსდა 100%-ით.

ბ) სოციალურ პროგრამებზე გაიხარჯა **532.1** ათასი ლარი, დაფინანსდა 89.8 %-ით (გეგმა **592.7** ათ.ლარი). მათ შორის:

1. ავადმყოფთა სოც. დაცვაზე მიმართული იქნა **201.5** ათ. ლარი (გეგმა 213.8 ათ. ლარი), აქედან სამკურნალო- საოპერაციო და სამედიცინო გამოკვლევების თანადაფინანსებაზე გაიხარჯა 184.3 ათასი ლარი (გეგმა 189.4 ათ. ლარი), ჰემოდიალიზს დაქვემდებარებულ პირთა ყოველთვიურ დახმარებაზე 3.7 ათასი ლარი (გეგმა 3.7 ათთ. ლარი), მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარებაზე 8.1 ათასი ლარი (გეგმა 13.4 ათასი ლარი), სიცოცხლისათვის საშიში და იშვიათი დაავადებების მქონე პირთა დახმარებაზე 5.0 ათასი ლარი (გეგმა 7.0 ათასი ლარი), რადიაქტიური ნივთიერებების ზემოქმედების შედეგად დაავადებულ შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე პირთა დახმარებაზე 0.3 ათასი ლარი (გეგმა 0.3 ათასი ლარი).

2. უმწეო და მიუსაფარი 165 მოქალაქის კვებაზე (უფასო სასადილო) გაიხარჯა **56.4** ათასი ლარი (გეგმა 56.5 ათ. ლარი).

3. მოსახლეობის სოც.დაცვაზე გახარჯულია 34.3 ათასი ლარი (გეგმა 37.3 ათასი ლარი). აქედან ხანდაზმულთა ერთჯერად ფულად დახმარებაზე გაცემულია 29.9 ათასი ლარი (გეგმა 30.7 ათ. ლარი), დევნილთა სოციალურ დაცვაზე 0.2 ათასი ლარი (გეგმა 1.8 თ.ლარი), საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის გარდაცვლილთა ოჯახების დასახმარებლად **0.8** ათასი ლარი (გეგმა 0.8 ათ.ლარი), მარჩენალდაკარგულთა ერთჯერად დახმარებაზე 3.4 ათასი ლარი (გეგმა 4.0 ათ. ლარი).

4. ომის ვეტერანთა დახმარებაზე 61.1 ათასი ლარი (გეგმა 62.5 ათ. ლარი).

5. ომის ვეტერანთა დაკრძალვაზე **0.75** ათ.ლარი (გეგმა 2.0 ათ. ლარი),

6. ოჯახებისა და ბავშვების დახმარებაზე მიმართული იქნა **122.7** ათ. ლარი (გეგმა 142.2 ათ. ლარი), აქედან ახალშობილთა ოჯახების სოციალურ დაცვაზე 103.4 ათასი ლარი (გეგმა 116.4 ათასი ლარი), მრავალშვილიანი ოჯახების სოციალურ დაცვაზე 0.6 ათასი ლარი (გეგმა 1.7 ათასი ლარი), შეჭირვებულ ოჯახთა

სოციალურ დაცვაზე 16.5 ათასი ლარი (გეგმა 21.9 ათასი ლარი), მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლებში მცხოვრებ ოჯახთა დახმარებაზე 2.2 ათასი ლარი (გეგმა 2.2 ათასი ლარი).

7. სტიქიური უბედურებით მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად გაიცა **55.4** ათასი ლარი (გეგმა 72.8 ათ. ლარი).

საქ.პრეზიდ.26.12.07წ #771 განკარგულებით გამოყოფილი რეგრესის პენსიის გეგმიური ნაშთი შეადგენს 5.6 ათას ლარს, რომელიც გახარჯული არ არის.

2018 წლის პირველი ივლისისათვის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო სახსრების ფულადი ნაშთი შეადგენდა **6363.4** ათ. ლარს, აქედან ცენტრალური ბიუჯეტის თანხებზე **639.8** ათას ლარს, საკუთარ სახსრებზე **5723.6** ათას ლარს . მათ შორის:

#	ფულადი სახსრების ნაშთი	თანხა
1	2018 წლის 01 ივლისის მდგომარეობით სულ	6363947.000
2	მათ შორის ცენტრალური ბიუჯეტიდან:	640635.65
3	რეგრესის პენსია საქ.პრეზიდ.26.12.07წ #771 განკ.	5591.17
4	მიწის ძვრით დაზარალ.დასახმარებ #972 განკ.	15400
5	საქ.მთ.17.05.13#466 დადგ. სოფლის პროგრ.	4531.58
6	საქ.მთ.04.04.13#311 განკ რეგიონში განსახ.პროექტ.	67839.48
7	საქ.მთავ. 20.03.2014წ #471 განკ. სოფლის პროგრამა	7359.36
8	საქა.მთ.12.03.2015წ#506განკ.სოფ.მხარდაჭ.პროგრ	17443.27
9	საქართ. მთ. 2015 წლის 24 ნოემბრის #2529 განკ	8183.94
10	საქ.მთ.განკ#1967 14.09.2015წ (სანიღვრე არხ.)	34749
11	საქართ.მთ 19,02,2016წ#265განკ.სოფლის პროგრამა	29392
12	საქართ. მთ. 04.02.2016 წ #175განკ.	0.85
13	საქ.მთ.24.11.2017წ #2466 განკ.საპროექტ და სამშ. სამუშ.	48552
14	საქ.მთ.13.06.2017წ.წ#1213განკ.სატიქიის შედეგებისსალიკვიდაც.ლონისმ.განსახორციელებლად	150000

15	საქ.მთ.12.07.2017წ#1454განკ.წყლის სისტემისრეაბილიტ.	180921
16	საქ. მთ. განკ. #693 06.04.2017წ.წყლის რეაბილიტაცია	69867
17	მიზნობრივი ტრანსფერი	805
	საკუთარი ნაშთი	5723311.35

პაატა ნადირაძე



მუნიციპალიტეტის მერი

ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერია